# STOPCOV ფონდში გადარიცხული თანხების მოგების გადასახადით დაბეგვრა 2541

## ფაქტობრივი გარემოებები

საწარმომ განახორციელა თანხის გადრიცხვა ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაში სახელმწიფოსთან სოლიდარული თანამშრომლობის და შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფის მიზნით სახელმწიფო ხაზინაში STOPCOV ფონდის ანგარიშზე

**ვარიანტი 1:**
საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

**ვარიანტი 2:**
საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია შესაბამისი კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლიც შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობა

**I ვარიანტში:**
ფონდში გადარიცხულ თანხებთან მიმართებაში საწარმოს მოგების გადასახადში საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია

**II ვარიანტში:**
საწარმომ ფონდში გადარიცხული თანხები გამოქვითა შესაბამისი პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან

## შეფასება

სსკ-ის:

- 98$^{3}$( 3.დ)-ე მუხლის მიხედვით მოგების გადასახადით არ იბეგრება სახელმწიფოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა.

სსკ-ის 106(ე)-ე მუხლის მიხედვით ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის უსასყიდლოდ გადაცემულ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი;

სსკ-ის მე-13 მუხლის (2) თანახმად, დღგ-ის მიზნებისათვის საქონელს არ მიეკუთვნება ფული.

**I ვარიანტში:**
ვინაიდან საწარმოს მიერ თანხის გადარიცხვა განხორციელდა სახელმწიფოსათვის ფინანსური რესურსის გამოყოფის მიზნით, აღნიშნული ოპერაცია, როგორც სახელმწიფოსათვის ფულადი სახსრების გადაცემა, არ წარმოადგენს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს.

**II ვარიანტში:**
ვინაიდან საწარმოს მიერ ფონდში თანხის გადარიცხვა განხორციელდა სახელმწიფოსათვის ფინანსური რესურსის გამოყოფის მიზნით, გადარიცხული თანხები, როგორც სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემული, გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან

## ღონისძიებები

**ორივე ვარიანტში:**
პირის ქმედებაში სამართალდარღვევა არ იკვეთება და მისთვის დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ მოხდება

**ანოტაცია**

**"STOPCOV ფონდში გადარიცხული თანხების მოგების გადასახადით დაბეგვრა სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტზე**

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელოს დამტკიცების მიზანია ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაში სახელმწიფოსთან სოლიდარული თანამშრომლობის და შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფის მიზნით სახელმწიფო ხაზინაში ფონდის საბანკო ანგარიშზე საწარმოს მიერ ჩარიცხულ თანხებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა.

სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით:

- ვინაიდან საწარმოს მიერ თანხის გადარიცხვა განხორციელდა სახელმწიფოსათვის ფინანსური რესურსის გამოყოფის მიზნით, აღნიშნული ოპერაცია, როგორც სახელმწიფოსათვის ფულადი სახსრების გადაცემა, არ წარმოადგენს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს;

- ვინაიდან საწარმოს მიერ ფონდში თანხის გადარიცხვა განხორციელდა სახელმწიფოსათვის ფინანსური რესურსის გამოყოფის მიზნით, გადარიცხული თანხები, როგორც სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემული, გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან.